

საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი (2018 წლის ოქტომბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა 2018 წლის ოქტომბრის თვეში.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №603

2018 წლის 28 ოქტომბერს ცვლილება შევიდა „შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №603 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს „ზ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატა შემდეგი შინაარსის „ზ1“ ქვეპუნქტი:

„ზ1) საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო/ადგილობრივი საექსპერტო ორგანიზაციების (ექსპერტების) მიერ ადგილობრივ საწარმოებში/დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ექსპერტიზის ჩასატარებლად შესყიდვის განხორციელება;“. ცვლილება შეეხო მე-6 მუხლსაც, კერძოდ, დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.“.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2018 წლის 28 ოქტომბერს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №290 ბრძანება

2018 წლის 18 ოქტომბერს შევიდა ცვლილება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 52-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოში მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის კატეგორიას, რომლის მიმართ იმპორტის გადასახდელებზე საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილია შეღავათები, მიეკუთვნება: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“, „გ“, „კ“ ქვეპუნქტში მითითებული საქონელი; ამავე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტში მითითებული, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო (ფარმაცევტული) მიზნებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული ნედლეული და სუბსტანციები; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „თ“, „ი“, „კ“ ქვეპუნქტებში და მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული საქონელი; 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“, „ვ“ და „ლ“ ქვეპუნქტებსა და 199-ე მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში მითითებული საქონელი.“ ცვლილებები შეეხო ასევე 23-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2018 წლის 18 ოქტომბერს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №58/04 ბრძანება

2018 წლის 10 ოქტომბერს ცვლილებები შევიდა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №58/04 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანებით განსაზღვრული ინსტრუქციის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით გათვალისწინებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის პარამეტრებსა და მახასიათებლებს. იმ შემთხვევაში, თუ

შეუძლებელია გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით დამონტაჟება, მაშინ დაინტერესებული მეწარმე სუბიექტი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გარეპერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ამ წესის მოთხოვნებისაგან განსხვავებული განლაგებით დამონტაჟების თაობაზე.“ ცვლილებები შეეხო მე-3 და მე-8 მუხლებსაც.

ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 10 ოქტომბერს, გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №476

2018 წლის 1 ოქტომბერს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდა „ტექნიკური რეგლამენტი სამშენებლო პროდუქტების შესახებ“. დადგენილებით განისაზღვრა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური ვალდებულია, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას გააჩეროს და არ დაუშვას იმპორტის გზით ისეთი სამშენებლო პროდუქტის საქართველოს ბაზარზე განთავსება, რომელზეც არ იქნა წარმოდგენილი ამავე დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი და აღნიშნულის შესახებ აცნობოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო). სააგენტოსვე დაევალა ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ვალდებულება. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სამშენებლო პროდუქტების ბაზარზე განთავსების პირობებს მათი ძირითადი თვისებების განსაზღვრისა და ნიშანდების წესების შემუშავების გზით.

დადგენილება ამოქმედდება 2018 წლის 15 ნოემბრიდან.